№ 34. 16 თებერვალი, ოთხშაბათი. 1866—1883 16 თებერვალი, ოთხშაბათი. № 34.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება ტფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, პატარის ასოებით ასოზე ნახევარი კაპეიკი; წვრილმანი სტრიქონზე რვა კაპეიკი.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

აბონემენტის რიცხვში.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 16 თებერვალს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

კ. ყიფიანისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად

მეფე ლირი

ტრაგედია 5 მოქმედ. და 10 სურათად ინგლისურიდამ გადმოკეთებული ილ. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის-მიერ.

დასაწყისი 7 საათზედ.

სამშაბათს, 22 თებერვალს

ტფილისის კრუჟოკში

გამართული იქნება

ბალი

ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულამოჭრილ კაბებით იყვნენ.

ბილეთები წინდაწინვე იყიდება შავერდოვის საგაზეთო სააგენტოში, ხოლო ბალის დღეს—თვით კრუჟოკში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

რუსეთიდამ

14 თებერვალს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს წავიდა ბერლინში ჰერცოგი ედინბურგისა თავის მეუღლით.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. კარაზინის საზოგადო ბანკის დირექტორი ბალაბანოვი და ამის თანაშემწე მოროზოვი დაჰკარგეს ციმბირში, პირველი ტომსკისა და მეორე ტობოლსკის გუბერნიაში.

ᲝᲓᲔᲡᲐ. სრულებით დათბა, ნავთსადგური გაიწმინდა ყინულისაგან, გემები დადიან.

## დღიური

გუშინ, 15 თებერვალს, ტფილისის სამსაჯულო პალატამ განიხილა ადრინდელ გორის მაზრის უფროსის თ. რ. შ. ერისთავის საჩივარი „შრომის“ რედაქტორზედ თ. დიმ. დადიანზე და ამ გაზეთისვე გამომცემელზე ბ. დიმ. ნაზაროვზე.

თ. ერისთავი სჩიოდა, (დიფამაციით, „დასჯათა წესდების“ სტ. 1039) რომ შარშანდელს „შრომაში“ (№ 9) დაბეჭდილი იყოვო კორრესპონდენცია, ვითომც მე ჩემს შენობაზედ ტუსაღებს ვამუშავებდე, არაფერს არ ვაძლევდე ქირას და ამ ნაირად ბოროტად ვხმარობდეო ჩემს თანამდებობას.

საქმის გარჩევის დროს სასამართლოში გამოცხადდნენ: გაზ. „შრომის“ რედაქტორი და გამომცემელი თ. დ. დადიანი და დ. ნაზაროვი და მოწმედ თ. რევ. შ. ერისთავი.

თავმჯდომარის კითხვაზე—დანაშაულად სთვლიან თავის თავს თუ არაო,—რედაქტორმა და გამომცემელმა განაცხადეს, არაო.

თ. რევ. ერისთავმა აჩვენა, რომ გაზეთს „შრომაში“ დაბეჭდილი კორრესპონდენცია სიცრუვე არისო, თორმეტი წელიწადი ვიყავი მე მაზრის უფროსად და ამისთანა საქმე არასოდეს არ ჩამიდენიაო. მართალია, ტფ. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებით, ოთხს ტუსაღს ვამუშავებდიო, მაგრამ ჩემს შენობაზე კი არა, ქუჩებს ვასუფთავებინებდი, არხებს ვაწმენდინებდიო და სხვ. გორში რომ სახლი მაქვს, ის სახლი 1878 წელს ავაშენე და, მას აქეთ არავითარი შენობა არ მქონია და სად ვამუშავებდი ტუსაღებსაო.

ამასთანავე თ. ერისთავმა წარადგინა ორი დოკუმენტი, რომელთაგან ერთი შეეხებოდა ბ. ალ. შაიშმელოვს, რომლისთვისაც მომრიგებელ მოსამართლეს ბოროტ-მოქმედებისათვის (მოშენიჩესტვო) ორის თვით ციხე გარდაუწყვეცია; და მეორე იყო აქტი სოფ. ურნისის მამასახლისისა, რომელიც აცხადებდა, რომ ამა-და-ამ რიცხვს ჩვენს სოფელში მოვიდა ვიღაც სერთუკიანი კაციაო, (შაიშმელოვი), გამოგვიცხადაო, რომ ტფ. ღუბერნატორის ჩინოვნიკი ვარო და ამა-და-ამ კაცს, რომელიც გორის ციხეს მჯდარაო, ჩვენება უნდა ჩამოვართვაო. და ჩამოართვა ჩვენება, სადაც დასწერა ქაღალდზე და ხელი მოგვაწერინაო.

ბრალდებულთა მხრით დამცველად იყო თ. ნესტ. თავდგირიძე, რომელმანც თავის მხრით წარადგინა სოფ. ურნისის მამასახლისისაგან დამოწმებული ჩვენება ერთის ნატუსაღარისა, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ის და სამიც სხვა იმის ამხანაგი, როდესაც გორის ციხეში ისხდენ, მუდამ დღე გაჰყავდა პრისტავს, მაზრის უფროსის თ. ერისთავის ბრძანებით, იმის, თ. ერისთავის საკუთარს სახლის მუშაობაზედ, ქვასა და ქვიშას აზიდვინებდენ და საჭმელსაც კი არ აძლევდენ ამისთვის.

პროკურორის (ბ. სმიტტენი) აზრით, ამ ქაღალდს არავითარი ძალა არა აქვს, რადგან ეს დოკუმენტი კი არ არის, არამედ უბრალო ჩვენება მოწმისა, ქაღალდზე დაწერილი, და ამ გვარ საქმეებში (დიფამაციაში) მოწმის ჩვენება, კანონით, არ მიიღება.

ბამოძიების გათავების შემდგომ პროკურორმა წარმოსთქვა თავის გამამტყუნებელი სიტყვა. ის თხოულობდა რედაქტორისა და გამომცემლის დასჯას, რადგან ვერავითარი საბუთით ვერ დაამტკიცეს თავიანთ გაზეთში დაბეჭდილი შენიშნვა, რომლითაც თანამდებობის პირის სახელს ჩირქი ეცხებაო. პროკურორი თხოულობდა, რომ თითოეულ ბრალდებულს სამას-სამასი მანეთი გადახდეს ჯარიმაო.

ბრალდებულთა დამცველი თ. ნ. თავდგარიძე კი ამტკიცებდა, რომ, თუმცა წარდგენილი საბუთი სასამართლომ საბუთად არ მიიღოვო, მაგრამ, კანონით, თვითონ თ. ერისთავსაც ჰქონდა წარმოედგინა თავის გასამართლებელი საბუთები და, რადგან იმან ამ გვარი საბუთები ვერ წარმოადგინა, რადგან, ამას გარდა, საქმის გარემოებით მტკიცდება გაზ. „შრომაში“ გამოცხადებულის ამბის სინამდვილე, ამის გამო მე სრული იმედი მაქვსო, რომ ჩემ მრწმუნებელთ სასამართლო გაამართლებსო.

კითხვითი პუნქტების დადგენის შემდეგ სასამართლო გავიდა მეორე ოთახში და ცოტა ხანს უკან გამოიტანა თავის განაჩენი, რომლის ძალითაც ორივე ბრალდებული დამნაშავედ აღიარა და თითოეულ ამათგანს ათ-ათი თუმანი ჯარიმა დაადვა და სასამართლოს ხარჯის გარდახდევინება; თუ ამას ვერ შეიძლებენ, ერთის თვით სატუსაღოში ჩასმა.

* * *

ჯერ კიდევ არ შემწყდარა ბაასი

„დროების“ ფელეტონი, 16 თებერვ.

### ჟაკეტ *)

მოთხრობა ჟულ გლუვესი

(ნათარგმნი ფრანცუზულიდამ)

IV

ზარშემო სრული სიბნელე იყო არც ცეცხლის სინათლე და არც ადამიანის გაწაწანება. ბოლოს დიდის წვალებით მივიდა იმ ადგილას, საიდამა უნდა დაბრუნებულიყვენ სოფლელები.

— მიპასუხეთ! მე თქვენგანი ვარ— ჟაკის ქვრივი!

ერთი რაღაც არეულება და ბუტბუტი მოესმა. ბოლოს ერთმა გაბედა და ჰკითხა:

— შენა ხარ, ჟაკეტ?

ჟაკეტ შეკრთა, უნდოდა გაქცევა, ბოლოს შედგა და ჰკითხა:

— ვინა ხარ?

— კარგი, ხმაზე გიცანი. ვინდა გითხრა ჩემი სახელი?

— ღმერთო ჩემო, ეს სამხედრო ჯაშუშია! სხვები სად არიან?

— ისინი არ მინახვანან, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ომობდენ იქით ვაკეში. პრუსსიელები ამაღამ ყველგან არიან.

— შენ რას აკეთებ იქ?

— ჩემს მოვალეობას ვასრულებ!

ქვრივი მიუახლოვდა და დიდ ხანს ლაპარაკობდენ უშიშრად. მერე ჩუმად წაუბუტბუტა:

— მე ვატყობინებ ჩვენს ჯარს პრუსსიელების ამბავს.

იმას შეეძლო პირ-და-პირ ეთქვა, თუ კი მოჰგონებოდა, რომ ის იყო ჯაშუში, რადგან ამ შემთხვევაში ეს სახელი მას არა თუ ამცირებდა, არამედ ამაღლებდა ხალხის წინაშე. იმან მიჰყო ხელი ამ გვარ საშიშარ საქმეს თავის სამშობლოს დასაცველად.

— მე მოვდივარ ეხლა ვიერზიდამ, საცა ახალი ამბები შევიტყე. შენი ფეხის ხმა რომ მომესმა, ჩემო საწყალო მეგობარო, დავიმალე. მხოლოდ უნდა წავიდე ურკში და შევატყობინო ყველაფერი.

მოჰკიდა ხელი და ჩუმად უთხრა:

— ჩვენ სწორედ დავიღუპენით!

— დავიღუპენით, რადა?

— დიახ, ჩვენი ერთი ჯარი გვიან მოვა, მეორე შემწყვდეულია პრუსსიელებისაგან; პრუსსიელები გაიქცევიან, შეუერთდებიან რუსებს. მაშინ საქმე გათავდება. თუ კი სოასანი შეიპყრეს, სრულებით დაიღუპება საფრანგეთი.

— ღმერთო, ღმერთო! როცა ვფიქრობ, რომ ის შეჩვენებულები ახლა პლესსიეში არიან, ჩემი მემართება.

— ისინი უთუოდ ჯარის ერთი ნაწილი არიან და ემზადებიან ქალაქისკენ გამგზავრებას. კარგი გიქნია, ჩემო შვილო, რომ დაგიხწევია თავი იმ მხეცებისაგან. წამოდი ჩემთან, ჩემი ცოლი კარგად მოგივლის.

— შენ გგონია, მე იმათ გამოვექეცი? მე ჩვენი სოფლის ხალხს ვეძებდი, რომ შემეტყობინებინა იმათვის. საცა იქნება უნდა მოვნახო მე ისინი და განვათავისუფლო ამ საშიშარ მდგომარეობიდამ. მერე კიდევ დავბრუნდები სახლში. მე მივეცი ჟაკს

*) იხ. „დროება“ № 33.

და ყაყანი კრუჟოკში მომხდარს შემთხვევაზედ. მთელი ტფილისი ორ პარტიად არის გაყოფილი და თავ-განწირვით ესარჩლებიან ზოგნი დაჭრილს, ზოგნიც დამჭრელს.

* * *

მოვაგონებთ, ჩვენს საზოგადოებას, რომ დღეს ორშაბათს ჩვენი თეატრის საუკეთესო მოთამაშის ბ. ქ. ყიფიანის ბენეფისია. ჩინებული მოთამაშე, რომელსაც არა-ერთხელ დაუტკბია მაყურებელი თავის ნიჭის და ხელოვნობისა გამოჩენით, ყოველ თავის ბენეფისზედ სდგამს ისეთს პიესებს, სადაც არამც თუ მარტო თავის გამოჩენა შეიძლება, არამედ მთელს ევროპაში განთქმულს პიესებად ითვლება. ამ მოთამაშემ გააცნო შექსპირი უმეტეს წილს ჩვენი მოთეატრე საზოგადოებას „შაილოკის" წარმოდგენით; ეხლაც სდგამს შექსპირისავე საუკეთესო პიესას „მეფე-ლირს", რომელიც ისეთის ქართულის მცოდნეთ-გან არის გადმოთარგმნილი, როგორიც თავ. ილია ჭავჭავაძე და თავ. ი. მაჩაბელი.

* * *

ამ გვარივე საჩივარი მოგვივიდა ხაშურიდამ, როგორიც ამას წინად სურამიდამ: ადმინისტრაციის უყურადღებობაზედ ყასბების უწესო მოქმედების შესახებ. თავ-გასული ყასბები არჩევით იძლევიან ხორცსაო. 13-14 კაპ. იღებენ გირვანქა ხორცშიო. ამავე ფასით ერთს კარგი ხორცი ერგება და მეორეს-კი, ღმერთმა შეინახოს, წუწკი ძვლის ულუფაო. არა-ერთხელ გვიჩივლია ადგილის მთავრობასთან, მაგრამ სად-ვინ გვცემს პასუხსაო.

* * *

ამბობენ, რომ პოლიციამ აკრძალა ცირკში ჭიდაობაო. ეს განკარგულება, უეჭველია, იმ აყალ-მაყალმა გამოიწვია, უკანასკნელ ჭიდაობის დროს რომ ასტყდა ცირკში, როდესაც ბოლდანელი და ერთი ბაქოელი თათარი შეებნენ. თათარი რომ ქვეშ მოჰყვა ბოლდანელს, ერთი პარტია ჰყვიროდა გაშვებას, მეორე-კი, თათრები განსაკუთრებით, არ იქნება გაშვებაო, თათარი განგებ დაწვაო, ქვეიდამ ჰკრავს ქამანდსაო. საშინელი ღრიალი, ყვირილი შეიქნა. ბოლოო-კამში კრივიც გაიმართა ერთ კინტოსა და თათარს შუა.

პეტრა სოსო გამოჩნდა, რომელიც ბოლდანელობას აპირებს: ამ დღეებში ორი ბიჭი გალახა სოსომ მაზედ ხნითაც მეტი და ჯანითაც. სოსოს კისრულთან მათი ჯანი ვერას გახდა.

* * *

არ მოიღო ბოლო ქუთაისის ჩივილს უქუჩობაზედ. საწყალი ქუთაისი! ჩვენ, ტფილისელები-კი მალე ცხენის რკინის გზასაც ვიჩიხინებთ ჩვენს ქალაქში და ქუთაისს ხეირიანი ქუჩებიც კი ვერ უხილავს.

მართლა, გაცხარებული მუშაობაა ცხენის რკინის გზისა. პუშკის ხიდი გააფართოვეს, როგორც მოგეხსენებათ, და ხვალ-ზეგ ხარიხებზედ დაფენილიც იქმნება ფიცრები. მგონი, ვიღაცას ეჭვი შეეტანა ამ ხარიხების სიმაგრეზედ. ამ ეჭვის უადგილობის დასამტკიცებლად ეს ოთხი დღეა ამ ხარიხებზედ სხვა-და-სხვა ალაგას დაწყობილია 150 ფუთი ქვა, რასაც ადვილად უძლებს ხარიხები. საქვეითო სასიარულოს მეტი სიმძიმე არასოდეს არ დააწვება.

* * *

ჩვენ მივიღეთ, ბ-ნი სუნდუკიანცის დრამა „დაქცეული ოჯახი" სომხურს ენაზედ ახლად გამოცემული. წიგნი შეიცავს 132 გვერდს და მშვენივრად არის გამოცემული. პიესის შინაარსი შეეხება ჩვენი ვაჭრების ყოფა-ცხოვრებას და იმათ საქციელს, რომელნიც თავის გაუმაძღრობის მსხვერპლად ხდიან განურჩევლად ყველას, ვინც კი წინ შეხვდებათ.

წიგნი მშვენივრად, ლამაზად არის გამოცემული, კარგს ქაღალდზე და მრგვალ გვარის შრიფტით.

* * *

უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით და ლენ.-მაიორ ჩერნიაევსკის რედაქტორობით ბ. წ. ა. ვოლკონსკი ადგენს ქართველ ქალთა დრუჟინის ისტორიასა, რომელიც გამოიცემა ქართულსა და რუსულს ენაზედა. მოხსენებული რედაქცია სთხოვს იმ პირთ, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ საქმის სისრულეში მოყვანას, დაეხმარონ ყოველგვარის ცნობის მიცემით სიტყვიერად თუ წერილობით, რა ენაზედაც უნდა იყოს შემდგარი ეს ცნობა. ყველა ცნობანი რა კი საჭირონი აღარ იქნებიან, დაუბრუნდება.

ცნობები უნდა გაიგზავნოს კავკასიის შტაბში.

* * *

ბ. მილლერს დაუცვავს თავის დაწერილი თხზულება „ოსეთური ეტიუდები" (დისერტაცია) ენა-მეტყველების დოქტორის ხარისხის მისაღებად და მიუღია ეს ხარისხი.

## „დროების" კორრესპონდენცია

**გორი, 11 თებერვალს.** წუხელ, 10-ს თებერვალს გორის კლუბში იყო მასკარადის საღამო. ამ გვარი საღამოები მოსაწონი და სასარგებლო იქნებოდა, რომ თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგა და ცარიელი მასხარობად არ გადაქცეულიყო. ჩვენს შორის მრავალ გვარი სენი სუფევს, რომლის განდევნა ყველა პატიოსან კაცის ვალია; მაგრამ ჩვენ ამ საშუალებას მოკლებული ვართ: არ შეგვიძლიან ვისიმე წუნი გამოვსთქვათ, უკეთუ საგრძნობელი, კანონიერ ნიადაგზედ დამყარებული ფაქტები არა გვაქვს, თუნდაც რომ ჩვენ ცამდინ მართალი ვიყვნეთ. თუ კერძოდ დიდ პირებზედ ვიტყვით, იქ ხომ სულ შეუძლებელია, ამიტომ რომ მათი წინააღმდეგობა ადმინისტრაციის წინააღმდეგობად ჩაიხნიათ, და ნაცვლად ბრალდებულისა, ისივე მართალს მოხვდება. აი ამისთანა შემთხვევაში, მასკას ქვეშ, კაცს შეგიძლია თამამად უთხრა პირში, რაც კი გაქვს სათქმელი, თუნდაც ეს სიტყვა უსიამოვნოც იყოს გამგონისათვის.

ჩვენს მასკარადის საღამოებზედ კი მომეტებული ნაწილი სცდილობს მარტო კარგად მორთვაზედ; ზოგიერთნიც არშიყობას უნდებიან.

ხსენებულ საღამოზედ მარტო ერთ მასკას (ქალს) მოუვიდა აზრში დაწერა ზოგი ერთ პირების ქარაქტერისტიკისა. უნდა ვსთქვათ ნამდვილი, რომ ძალიან მოხერხებული შინაარსის ბარათები ჰქონდა ამ მასკას დასარიგებლად. თითონ ბარათების პატრონებიც კი გრძნობდნენ ბარათის შინაარსის ჭეშმარიტებას; მხოლოდ ერთ-ორ პირს არ მოეწონათ ამ მასკის მოქმედება, რისთვისაც ერთი ამათგანი, მოთმინებიდგან გამოსული, მეტად უხეიროდ მივარდა მასკას ხელში და კინალამ ცხვირი მოაგლიჯა. ამ უგვარო ქცევით მიიქცია იმ კაცმა ხალხის ყურადღება; ბოლოს გავიგეთ მიზეზი ამ მოქმედებისა: მასკასა მიუცია მისთვის დაახლოვებით შემდეგის შინაარსის ბარათი: „რა შენი საქმეა ექიმობა, წადი და ქაღალდი ითამაშე". ეს სიტყვები ბარათის პატრონმა ძალიან იმწუხა. თუ ესე საწყენია იმ დალოცვილისათვის ეს სიტყვები, საქმით რაღად ამართლებს ამ სიტყვებს? არა სჯობს, რომ ეს დრო საწყალ ლაზიბ-ლატაკ ხალხს შესწიროს, რომლებიც უქონლობით და უპატრონობით უდროოდ წუთის სოფელს ესალმებიან? ერთი ექიმი რა გვყავს, რომ ჩვენ გაჭირვებაში შეგვიდგეს!

მხოლოდ ერთი ბატ. მასტოვიჩი ეკითხება აქაურ ხალხს და ჩვენები კი არ გვეკითხებიან. მაგრამ ეს ერთი კაცი რას გაუხდება ამოდენა ხალხს! ღმერთმა უშველოს ისევ ჩვენ წინანდელ ექიმს, ბ. ხააკოვს, რომელიც ხან და ხან კიდევ დაიოვლიერებს ხოლმე თავის ნაამაგდარ ხალხს. როგორც გაიგებენ ამის აქ მოსვლას, მაშინვე იმასთან გაექანებიან ავადმყოფების პატრონები. ამ გვარი ყურადღება ხალხისაგან იმან დაიმსახურა თავის ერთგულობით, მეცადინეობით და კაცთ-მოყვარეობით. სხვათა შორის იმისი კარგი ხასიათი ის არის, რომ ავადმყოფების მდგომარეობაში

---

პირობა, რომ სიკვდილამდინ არ მივატოვო სახლი.

— ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს, მაგრამ ამას კი გეტყვი, რომ სიკვდილს უფრო მალე მიეწევი, ვინემც ჩვენს ხალხს. გეხვეწები, თავს ნუ იკლავ, წამოდი ჩვენსა.

— არა, არას დროს! მე არ დავახოცინებ ჩემს მეზობლებს და არც ჩემ სახლს მივატოვებ!..

— მაშ მშვიდობით, ჩემო ჟაკეტ. შენ ძალიან პატიოსანი და მამაცი ქალი ყოფილხარ. ჟაკ არ შემცდარა, რომ შენ ამოურჩევიხარ ცოლად.

ამ სიტყვების შემდეგ ჯაშუში წავიდა სიჩქარით თავის გზაზე.

— ეხლა სად წავიდე? ფიქრობდა ქვრივი. წვიმაში და სიცივეში კანკალობდა—საცოდავი გრძნობდა თავის უსუსურობას და მწარის ცრემლით ტიროდა.

— ჩვენები უთუოდ ძალიან შორს არიან, რომ არაფერი ისმის. რაც უნდა მომივიდეს, მაინც უნდა შევატყობინო, რომ პრუსსიელები სოფელში ჩამოვიდნენ.

ბევრი ფიქრისა და წვალების შემდეგ წამოხტა ის ფეხზე და გაჩქარებული გაექანა თავის სახლისკენ.

— არა, უეჭველად უნდა ავასრულო ჩემი ფიქრი...

პრუსსიელები ღრმად ძილში იყვნენ, როცა ჟაკეტ სოფელში შევიდა. ის უშიშრად გაიარა თავისი ეზო, შევიდა სახლში, ჩამოიღო თახჩიდამ რადაც შეკვრა, საცა იყო ორი სანთელი და აბედი; მოაგროვა ჩვრები, შეახვია ბოლოში და გადასწყვიტა, რომ ეხლავე წაუკიდებდა ცეცხლს თავის საბძელს, საცა პრუსსიელებს ისე მოსვენებული ეძინათ.

გათენებისას ჩვენი ჯარი რო დაინახავს ცეცხლს, გაიგებს საშიშარ მდგომარეობას. ამასთანავე გულს იმშვიდებდა იმით, რომ ის აასრულებს თავის მოვალეობას და სამაგიეროს გადუხდის ჟაკის მკვლელებს.

ჯერ ფიქრობდა თავის სახლის დაწვას, მაგრამ პრუსსიელები მეორე მხრით იყვენ და ისინი არ ამოიწოდენ. ამას გარდა იმ სახლის დაწვა ეძნელებოდა, საცა ისე სიყვარულით ცხოვრობდა თავის ჟაკით.

— არა, საბძელს წავუკიდებ ჯერ ცეცხლს და მე თითონ ამ სახლში დავრჩები და, თუ ვინიცობაა, ქარმა მოსდო ცეცხლი მეც ჩემ ჟაკისაგან დარგულ ვარდის ხესთან ერთად დავიწვი.

გამოვიდა გარედ. ცისკარი გამოჩენილი იყო, დრო ცოტაღა დარჩენოდა.

— ეს ყველაფერი ჩემია. სხვას არაფის ევნება რამე ამის დაწვით.

ჟაკეტ გაემგზავრა საბძლისკენ. სალდათები დამშვიდებული იყვნენ მით, რომ სოფელში აღარავინ არის და შიში არაფრისა არისო, მკვდრებივით ეძინათ. ჟაკეტმა მოაგროვა დიდ-ძალი თივა, აანთო სანთელი და წაუკიდა ცეცხლი. საჩქაროდ უკან გამობრუნდა, რომ არ დამწვარიყო. შემდეგ მეორე მხრითაც წაუკიდა ცეცხლი...

თავის მოქმედებისა თითონვე შეეშინდა, მუხლები უკანკალებდა. დიდის წვალებით და კანკალით შევიდა სახლში, დაჯდა ფანჯრის წინ და იქიდამ უყურებდა თავისვე წაკიდებულ ცეცხლს.

თენდებოდა. საშინელი ბოლი დადგა მთელს ეზოში. პრუსსიელებს მაგრა ეძინათ. ესენი ჯარიდამ გამოქცეულებს გვანდნენ, უფროსი არა ჰყავდათ. ბოლოს საშინელი ჭახანი მოიღო იატაკმა; ამ ხმაურობაზე ერთს პრუსსიელს გამოეღვიძა. მივიდა თავის გაჩაღებულ ცეცხლთან, გაქექა, გამქრალიყო. გამოვიდა კანკალით გარეთ,

შედის; ბევრი მაგალითები ვიცი, რომ პირ-იქით იმას მიუცია აღმყოფისთვის შემწეობა; ზოგს ფულადაც აძლევს და ზოგს წამლად; შრომას ხომ არც კი ანგარიშობს.

## საკენკი

„დროების“ მეფელეტონის წყალობით, უფრო მისი დაუხედავობით, ერთი ფრიად შესამჩნევი საქმე მოგვივლინა. თან მადლობის ღირსია ჩვენი მეფელეტონე და თან, ცოტა არ იყოს, სირცხვილი შეგვაჭამა მკითხველი საზოგადოების წინაშე; მაგრამ რაც უნდა იყოს, ნუ გაუკიცხავთ ჩვენ მოძმეს, რადგანაც მან თვალები აგვიხილა იმისთანა მოვლენაზე, რომლის არსებობა ჩვენს მოკლე ჭკუას არასოდეს არ მოსჩვენებია არც ცხადად და არც სიზმარში.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი მეფელეტონე თავის „საკვირაო მასლაათში“ შეეხო გაზეთს „შრომას“, მის მოწინავე სტატიებს და ფელეტონებს; ეს უკანასკნელნი თურმე არ მოსწონს ჩვენს თანამშრომელს, რომელიც თითქო უკადრისად მოეპყრო „შრომის“ მშრომელებს; ერთს ამათგანს უკისრნია გამოლაშქრება „შრომის“ უკანასკნელს ნომერში მამაცურად და ერთი ფელეტონით ლამის გასრისა ერთიანად „დროების“ რედაქცია და ბ. ჭრილაშვილის ნაშთიც არ დაუტოვებია დედა-მიწის ზურგზე!

მაგრამ ეს რაა იმისთან შედარებით, რაც შევიტყვეთ „შრომის“ გამოლაშქრებისაგან! რა უნდა იყოს ერთი პატარა გაზეთის რედაქციის გასრესა, მიწასთან გასწორება და ერთი რომელიმე სწერლისთვის წესის-აგება, როცა, ამ გარემოების წყალობით, მკითხველ საზოგადოების გონებას გაანათლებს რომელიმე ბრწყინვალე მაღალი და ყველასგან უცნობი აზრი და ჭეშმარიტება! დეე, გამოვიჩინოთ სულგრძელობა და თავი შევსწიროთ მთლად რედაქციამ, ბ. ჭრელაშვილითურთ, ჭეშმარიტების დადგენისათვის, დავვიდგეს თვალები, რადგანაც მათ იმდენი ჩინი არა ჰქონიათ, რომ ჭეშმარიტება გამოეცნოთ; ენა ჩაგვივარდეს მუცელში, რადგანაც იგი ვერ მოგვიხმარნია ჭეშმარიტების გამოსათქმელად და ქვეყნად სალაღებლად!.. დიდი დანაშაობა ჩაგვიდენია და, იმედი გვაქვს, ამ მონანებით ცოტათი მაინც შევიმსუბუქოთ ჩვენნი შეცოდებანნი.

დღემდის „შრომას“ არ გამოუთქვამს თავის მაცხოველებელი აზრი, რომელსაც იგი ატარებდა თავის გულის სიღრმეში: ჩვენ შორის, ანუ უკედ ვსთქვათ, ბ.ბ. ჭრ—შვილებისა და „შრომის“ თანამშრომელთა შორის, ყოფილა ერთგვარი განწყობილება, ჩვენგან დღემდის შეუნიშნელი: „ქრისტეს მოძღვრება ზოგიერთისთვის ცხოვრება იყო, ზოგიერთისთვის კი მაცდურობა, გინა წარწყმედა.

ისე ვართ ჩვენ და ჭრ—შვილებიცო,—ღაღადებს ბრაზებით ავსილი მეფელეტონე „შრომისა“, ბ. ბოსლეველი. აი, რა დიდი მანძილი ყოფილა ჩვენსა და „შრომას“ შორის, მკითხველო. „შრომის“ სიტყვები თითქო ქრისტეს მოძღვრება ყოფილა, ჩვენთვის კი მაცდურობა, გინა წარწყმედა.

ეს სიტყვები სწორედ თრთოლვით ამოვიკითხეთ, შიშისაგან „შრომა“ კინაღამ ხელიდგან გაგვივარდა. რა ხანგრძლივი ყოფილა ჩვენი გონებითი იბრმავე და უმეცრება! არ ვიცოდით თუ „შრომა“ წინასწარმეტყველთა საბუდარი იყო და არის; არ ვიცოდით თუ ეს ქუთათური წინასწარმეტყველნი ახალი აზრების მატარებელნი არიან. სწორედ მართალი ნათქვამია: „თავის ქვეყანაში წინასწარმეტყველად არავინ გახდებაო“. მაგრამ ჩვენი რა ბრალია; რომელი განსაკუთრებითი ნიშნებით უნდა გვეცნო ჩვენი შინაური წინასწარ-მეტყველნი? მადლობას ვსწირავთ ბ. ბოსლეველს, რომ გვაცნობა თავის „მშრომელების“ ვინაობა. აწ ვიმედოვნებთ, მკითხველო, „თუ ჩვენ აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ამ მომავალს მოგვანიჭებს „შრომა“, რომლის თანამშრომლები, მეტადრე ბ. ბოსლეველი, გზას გაგვინათებენ თავისი ლამპარით.

ვითარცა წინასწარმეტყველნი, „შრომის“ თანამშრომელნი აუცილებლად უნდა იყვნენ აღჭურვილნი ახალის და მაღალის აზრებითი, იდეებითა, გრძნობებითა; უამისოდ მათი წინასწარმეტყველება და ქადაგება ფუჭი იქნებოდ; იმ აზრებისთვის, იდეებისთვის, გრძნობათათვის და სხვ. და სხვ. „შრომა“ შექმნა წამებული და ის შესჩივის თავის მდგომარეობას. გულწრფელად ვაღვიარებთ, რომ ჩვენ სულით და გულით თანაუგრძნობთ გაზეთის მდგომარეობას, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ „შრომას“ სრულიად არ დაუმსახურებია ეკლის გვირგვინი; ის წამებული იქმნა უბრალოდ, მას არა ჩაუდენია-რა იმისთანა, რისთვისაც ღირსი ყოფილიყოს წამებისა. გული შეგვტკივა „შრომისთვის“ და ვთხოვთ მას არა შეგვწამოს-რა, მაგალითად, გულ-გრილობა მისი უბედურებისადმი.

„დროებას“, ბ. ბოსლეველის სიტყვით, „გამოურჭვია პირში რამდენიმე ჰაერში დანაჭერი ფრაზები და სხვ. და სხვ.“ აქ არარას ვიტყვით, თუ რითი იკვებება „დროება“ და რითი ასაზრდოებს იგი თავისი მკითხველების გონებას. არც იმას შევეხებით სად და რა აზრი და ფრაზა დაუჭერია „დროებას“ და პირში გამოურჭვია. მხოლოდ ერთი კითხვა გვებადება გონებაში: რომელი ახალი აზრებით, იდეებით აქვს „შრომას“ ავსებული თავი, გამოტენილი პირი? რომელი წყაროდგან ამოუკრეფია, რომელი მადნებიდგან გამოუთხრია იგინი? ეს რომ შევიტყოთ, მაშინ ჩვენ ხომ დავიწაფებოდით იმავე წყაროს და ჩვენს წყურვილს მოვიკლავდით.

მაგრამ დავუთმოთ ის წყარო „შრომასა“; შეიძლება, არ გვეყოს იგი ორთავეს და იმის წინასწარმეტყველებაც იმ დრომდის გასწევს, სანამ წყარო არ დაშრება...

ზემოთა ვსთქვით, რომ დღემდის არ ვიცოდით, თუ „შრომა“ წინასწარმეტყველის საბუდარი იყო; დახე ჩემს სიბრმავეს; ეხლა მომაგონდა, რომ უწინაც ამოჰყოფდენ ხოლმე თავსა მაღალი და ახალი აზრების მატარებელნი „შრომის“ ფურცლებზე.

ამას წინედ წაეიკითხეთ „შრომაში“ კორრესპონდენცია პეტერბურღიდგან ბ. პ. მ—სა, რომლის ნაწარმოები ორჯერ თუ სამჯერ გარდავიკითხეთ გულ-მოდგინედ; ვეძიეთ მასში აზრი და ვპოვეთ: ბ. პ. მ. სხვათა შორის ღაღადებს, ქართველი ახალგაზდობა უპიროულიაო, რომ ის ვერა ჰპოვე პეტერბურღშიო, რასაც ეძიებდიო, ქართველმა ახალგაზდობამ იმედი მომისპოო. მერმე, განაგრძობს, იმერლები სჯობნიან ამერლებსაო, მაგრამ ქალები კი უკეთესი ამერლებს აბადიათო და სხვ. და სხვ. საიდან შეიძინა ბ. პ. მ—მა ეს აზრები, არ ვიცით; რამ გამოათქმევინა იგინი გაზეთის საშუალებით? რამ აიძულა „შრომა“ ბ. პ. მ—ს ნაწარმოების დაბეჭდვისათვის? ეს კითხვები საინტერესონი არიან მხოლოდ „შრომისა“ და ბ. პ. მ— ლოლიკას გამოსაკვლევად.

ვინ სჯობნიან: იმერლები თუ ამერლები, სწორედ ძნელი სათქმელია: ამ საგანზე ბევრი აზრი გამოითქმის და ნამდვილი კი ვერა ითქმის-რა. მაგრამ ეგ კითხვა ჩირადაც არ ღირს და ამისათვის მოგვინდვია იმისი გამომკვლევა „შრომისათვის“.

ჩვენ მხოლოდ იმას დავსძინებთ, რომ მაგ ნაირი კითხვების აღძვრა გაზეთის საშუალებით სწორედ სამარცხვინოა როგორც ავტორისათვის, ისე „შრომის“ რედაქციისათვის.

დავეკითხოთ მხოლოდ „შრომას“ და ბ. პ. მ—ს ერთი საგნის თაობაზე: თუ იმერთ კარგი ქალი არ აბადიათ, კარგი ვაჟი როგორ შეიძინეს: ქალი ხომ ბუდჯია ხალხის ზნეობის, სულის

---

დაუწყო ფიჩხს კრეფა. ვერ დაინახა, რომ იმისი ამხანაგები იწოდენ. ქვრივმა დაინახა, რომ ეს წყეული კაცი მასკენ მოდიოდა. შაკეტ იყო ჩრდილში მიმჯდარი ისე, რომ ეს კაცი ვერ დაინახავდა. შაკეტი ხედავდა სიბნელეში ამ საშიშარ შესახედავ კაცს. ვინ იცის ეს ის კაცი იყო, რომელმაც მოჰკლა იმის შ-კ. შ-კეტ არც კი ფიქრობდა გაქცევას.

— ნეტავი შემოვიდეს და მომკლას ფ-ქრობდა შაკეტი, ერთობ ბევრი წვალება გამივლია.

პრუსსიელი თან-და-თან ახლოვდებოდა, დედაკაცი გაქვავებულივით იჯდა. შემოადგა კარზე ფეხი თუ არა, ამ დროს მოტეხილმა ვარდის ხის ტოტმა გაუფხაჯნა ლოყა. სასიამოვნოდ გაიღიმა, მიუბრუნდა ხეს, მოავლო ხელი ტოტს.

შაკეტმა დაინახა თუ არა ეს, წამოხტა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უნდა უყოს შაკის დარგულ ვარდის ხეს!

პრუსსიელმა დაჰკრა ცული ხეს, მაგრამ ხეს კედელი იმაგრებდა და არ გაინძრა, ხელ-მეორედ უნდოდა დაეკრა.

შაკეტს დაავიწყდა დაღალულობაც და შიშიც.

— როგორ ბედავ, რომ სჭრი ჩვენ ხეს!

შაკეტმა წამოავლო ხელი ორ-თითას და გამოვარდა გარეთ.

— ნუ სჭრი, ეს წმინდა ხეა!

მტერს მეორედ დაერტყა ხისთვის და წ მოეკლა. ტიტები ტალახში ეყარნენ. პრუსსიელი კმაყოფილებით დაჰყურებდა, რომ გასათბობად ეშოვნა შეშა.

შეშის მოჭრის შემდეგ იმან გაიგო დედამიანის ხმა, მოიხედა უკან და დაინახა ვილაც დედა-კაცი საშინელის სახით ორ-თითა ხელში. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ საშინელმა ხმაურობამ შეაჩერა ის თავის ადგილას.

ცეცხლი გაძლიერებულიყო, თივას მოსდებოდა. საშინელი ქარი უფრო აძლიერებდა. ამ ბოლოსაგან არე-მარე შავად იყო მოცული,

რამდენიმე ხნის შემდეგ ხმაურობამ გამოაღვიძა ზოგიერთი პრუსსიელები, მოიტაცეს თავიანთი თოფები და რაც ძალი ჰქონდათ, გარბოდენ. ეგონათ, რომ ფრანცუზის ჯარი შემოსულა. დანარჩენები, ბოლისაგან გამომთვრალნი, იწვნენ შუა ცეცხლში. მთელს ბოსელს მოსდებოდა ცეცხლი.

ჰაერი გაწითლებულიყო. პლესიეს მცხოვრებლებმა შეიტყეს, რაც ამბავი იყო იმათ სოფელში.

გაცოფებულმა შაკეტმა როგორც დაინახა თავისი საყვარელი ხე წაქცეული, მოიქნია ორ-თითა და გაარტყა გულში ხის მომჭრელ კაცს.

ნემეცმა ერთი კი წამოიყვირა რაღაც გაუგებარი სიტყვები და იქვე წაიქცა. შაკეტ იდგა და გიჟივით იძახოდა:

— შენ მოჰკალი, შენა!

გამხეცებული ადგა მკვდარ კაცს და რაც ჯანი ჰქონდა სცემდა კეტს და ერთ და იმავე სიტყვებს ეუბნებოდა.

— შენ მოჰკალ!...

ზოგიერთი ნემეცები გამოექცნენ ცეცხლს და მორბოდნენ თოფებით ხელში.

— მოდით, მოდით! უყვიროდა ქვრივი, ჩემი ხის და შაკის სამაგიერო გადუხადე; ჩვენებს ვაცნობე თქვენი აქ ყოფნა მოდით ახლა, მომკალით!.. გაუმარჯოს საფრანგეთს!..

(დასასრული)

სიმაგრისა. თუ ამერთ კარგი ქალი აბადიათ, რატომ რიგიანი კაცები ვერ გამოზარდეს?

დავანებოთ თავი ამ საგანზედ ლაპარაკს; მაგრამ, უკაცრავად, ქალებზე ლაპარაკმა ერთი გარემოება მომაგონა: ზემო-დასახელებულ ვარსკვლავთა გარდა „შრომას“ კიდევ ჰყავს ერთი ვარსკვლავი, წინასწარმეტყველი, ბ. კეზელი, რომელმანც თვისი ფელეტონებით შეარყია ჩვენი მყუდროება; ამ ვარსკვლავმა შემუსრა ლიბერალები, რადიკალები, მილლი, ქალები, ჩვენი მწერლობა და ბოლოს თითქო თვითონაც შემუსრა თავის თავი, უეცრად თითონაც განქრა. რა მოუვიდა ამ ვარსკვლავს? ამოეფარა ღრუბლებს, თუ ჩავარდა იმ ბნელეთში, წყვდიადში, საიდამაც თავისი აზრები მოკრიბა,—არ ვიცით; ჩვენ მხოლოდ ის გვახსოვს, თუ რა განსაცდელი მოგვაყენა ამ გმირმა... ნეტავ ვიცოდეთ, როდის და სად გამოჩნდება ეს კუდიანი ვარსკვლავი? ამის გამოძიება მივვინდვია „შრომის“ ვარსკვლავთ-მრიცხველთათვის; მანამ ჩვენ ჩვენს ცოდვებს შევინანიებთ, რადგანაც კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა მეორედ-მოსვლას მოასწავებს. რა შავი დღე დაადგებათ ჩვენ დედაკაცებს, თუ მართლაც გამოჩნდა ის კუდიანი ვარსკვლავი! რა გოდება, რა თმის წეწა-გლეჯა დაგვიდგება! მაგრამ ღმერთი მოწყალეა, წყალობა მისი დიდ არს, და მაგ განსაცდელსაც გადურჩებით. შემდეგ კი სხვა ვარსკვლავის ამოშუბვას მოველოდეთ.

კიდევ ორი სიტყვა: საკვირველია ბედი „შრომისა“; ბბ. პ. მ. და კეზელი გვპირებდენ განათლებას თვით პეტერბურღიდან—ნამდვილი ცენტრიდან რუსეთის განათლებისა. იმასაც ვფიქრობდით, რომ იქ მაინც მოიპოვებიან ნამდვილი ბოძები მწერლობისა; მაგრამ მწარედ მოვტყუვდით. ღვთმდის ვფიქრობდით, რომ ნაზარეთს არ დაიბადება მაცხოვარი. ეხლა კი ეს ფრაზა უნდა შევსცვალოთ ამ ნაირად: ბეთლემშიაც მუდმივ არ იბადება მაცხოვარი. ბბ. პ. მ—სა და კეზელის მაგალითი ხელთა გვაქვს და მეორე მშვიდობით, მკითხველო!

უხინარი.

# განცხადებანი

## ლიტოგრაფიული სურათი
# თამარ-მეფისა

იყიდება შტეენკოს ლიტოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის—30 კაპ. (3—1)

### ქირით იძლევა

ერთი დიდი ორ-განყოფილებიანი ზალა თ. მუხრანსკის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე. იკითხეთ „შვეიცარიის“ რესტორანში. (3—2)

ინგლისის
# მაღაზია
*Maison de confiance*

შავდარჯთ წვენი ნაჰ—1 მ. 10 კ. მოხარშულის ნაჰს—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—33)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

## სალამური
№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.

ა ხ ა ლ ი
# წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯუგაშვილის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველგვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—1)

### განცხადება

ქალაქ ბათუმის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, ამ გამგეობის თანა დასწრებით, ამა 1883 წლის მარტის 3-ს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი), სამის დღის შემდეგ ჰერეტორჟკით, ბათუმში წყლის გაყვანის მუშაობაზედ, გარდა საჭირო რკინის ნაწილებისა, სულ 14,328 მანეთისა და 30 კაპ.

დაწვრილებითი პირობებისა (კანდიციების) და აგრეთვე სმეტის ნახვა მსურველს შეუძლიან ბათუმის ქალაქის უპრავლენიეში მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—1)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ჯუკის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც უდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. გრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ჯუკის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. უდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

# „ციკო“
მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპეიკად. (10—2)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—20)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

### ტაქსია

საკვებაზ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებით 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Февраля 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი